Bundesamt
für Migration
und Flüchtlinge

გაიარეთ კონსულტაცია ჩვენთან

საკონსულტაციო მომსახურება
გადმოსახლებულთათვის

GEORGISCH

Integration

JUGEND MIGRATIONS DIENSTE

MBE
Migrationsberatung
für erwachsene Zuwanderer

ისარგებლეთ უფასო ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურებით გადმოსახლებულთათვის:

კონსულტაციაში მოზრდილი მიგრანტებისთვის (MBE) და ახალგაზრდულ მიგრაციულ სამსახურში (JMD)

ინდივიდუალური კონსულტაციები დაგეხმარებათ

თავიდან ბევრი რამ გერმანიაში შეიძლება მოგეჩვენოთ უცნაურად და უცნობად. მაშინაც კი, თუ თქვენ დიდი ხანია ცხოვრობთ გერმანიაში, თქვენ შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვები, რომლებზეც თქვენ ვერ ახერხებთ პასუხის პოვნას.

ინდივიდუალური კონსულტაციები და მხარდაჭერა თქვენ თავიდანვე დაგეხმარებათ. თქვენ გთავაზობენ კონკრეტულ დახმარებას ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულად ნებისმიერ სიტუაციაში. თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ თქვენი საქმეების დამოუკიდებლად მოგვარება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

საკონსულტაციო მომსახურება ახალგაზრდა და მოზრდილი გადმოსახლებულთათვის

კონსულტაციები მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით მოზრდილებისთვის ინფორმაციას აწვდის და დახმარებას უწევს 27 წელზე უფროს მოზრდილ მიგრანტებს.

ახალგაზრდული მიგრაციის სამსახურები კონსულტაციას უწევენ და ეხმარებიან მიგრაციული წარსულის მქონე 12-დან 27 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ადამიანებს.

პრინციპში, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ როგორც კონსულტაციას მოზრდილი მიგრანტებისთვის მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ახალგაზრდულ მიგრაციის სამსახურებს. თქვენი პირველი შეხვედრის შემდეგ შემდგომი პროცედურა შეთანხმებული იქნება დაწესებულებებს შორის, რომლებიც ატარებენ კონსულტაციებს. ამასთანავე გათვალისწინებული იქნება თქვენი პირადი ცხოვრებისეული სიტუაცია და თქვენი ოჯახის წევრების მდგომარეობა.

უფრო ფართო შესაძლებლობები ინდივიდუალური კონსულტირების წყალობით

საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებს ჩვეულებრივ ესმით თქვენი ქვეყნის ენა. მათ აგრეთვე ესმით თქვენთვის მშობლიური სოციალური, კულტურული და რელიგიური აზროვნება და ქცევა. თქვენთან ერთად ისინი შეიმუშავებენ გეგმას, რომელიც დაგეხმარებათ სწორ ორიენტირებაში

გერმანიაში ცხოვრების საწყის ეტაპზე. კონსულტაციების მსვლელობისას ძირითადი ყურადღება ეთმობა თქვენს პირად უნარებს და ცოდნას. თქვენ გაიგებთ, როგორი დახმარების მიღება შეგიძლიათ გერმანიაში ინტეგრაციის გასამარტივებლად.

კონსულტაციების ფარგლებში თქვენ შეგიძლიათ განიხილოთ ყოველდღიური ცხოვრების ყველა საკითხი, მაგალითად:

- გერმანიაში კანონიერად ყოფნის იურიდიული ასპექტები;
- გერმანული ენის შესწავლა (მაგალითად, ინტეგრაციულ კურსებზე);
- სასკოლო განათლება, პროფესიული მომზადება (მაგალითად, სასკოლო განათლების სისტემა, პროფესიული სწავლების შესაძლებლობები, პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება);
- პროფესიული საქმიანობა (მაგალითად, ტრენინგი მაძიებლისთვის, სამსახურის ძიება);
- ეკონომიური სიტუაცია (მაგალითად, შემოსავალი, კრედიტები, ვალები);
- ცხოვრება (მაგალითად, ბინის მოძიება, ბინის დაფინანსება);
- ჯანმრთელობა (მაგალითად, სამედიცინო დაზღვევა, სამედიცინო მომსახურება);
- პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობა (მაგალითად, ჯანმრთელობის პრობლემები);
- ქორწინება, ოჯახი და აღზრდა (მაგალითად, ორსულობა);
- მობილურობა და ტრანსპორტი (მაგალითად, მართვის მოწმობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი);
- დასვენება, სპორტი და დასვენება (განტვირთვა) (მაგალითად, ტურისტული მომსახურების ანალიზი, კლუბების წევრობა);
- ყოველდღიური საქმიანობა (მაგალითად, საყიდლები, ურთიერთობა სახელმწიფო დაწესებულებებთან).

ახალგაზრდული მიგრაციის სამსახურების სპეციალური შეთავაზებები ახალგაზრდა ადამიანებისთვის მიგრაციული წარსულით

ახალგაზრდა ადამიანებისთვის უცხო ქვეყანაში ყოფნის პირველი პერიოდი არის მომხიბლავი და საინტერესო, მაგრამ ამასთან მას არც სტრესული სიტუაციები აკლია. სკოლაში, პროფესიული სწავლების გავლის დროს და სამსახურში, აგრეთვე ახალი სოციალური კონტაქტების დამყარებისას მათ განსაკუთრებული ხასიათის სირთულეების გადალახვა უხდებათ. ახალგაზრდული მიგრაციის სამსახურები გთავაზობენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს, ინტენსიურ მხარდაჭერას და ჯგუფურ შეთავაზებებს, რომლებიც ადაპტირებულია თქვენს კონკრეტულ პრობლემებთან და საკითხებთან.

გარდა ამისა, თქვენ იპოვით შემოთავაზებებს შემდეგი თემების შესახებ:

- სკოლა და განათლების სისტემა
- ინდივიდუალური სწავლება და პროფესიული საქმიანობის დაგეგმვა (დასაქმების ადგილობრივ სააგენტოებთან თანამშრომლობით)
- სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობა
- სწავლების ახალი ტექნიკური საშუალებების შესწავლა, კერძოდ, გერმანული ენის შესწავლის პროგრამების გავლა

ონლაინ კონსულტაციები

ჭარდა პირადი კონსულტაციებისა, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიიღოთ ონლაინ კონსულტაციები ორივე პროგრამის ფარგლებში. ონლაინ კონსულტაციები „mbeon“ და საკონსულტაციო პორტალი jmd4you დაგეხმარებიან მიიღოთ პასუხები თქვენს კითხვებზე უმოკლეს ვადებში!

ჩატში mbeon თქვენ დღეღამის განმავლობაში შეგიძლიათ მიიღოთ ინდივიდუალური დახმარება და მხარდაჭერა, აგრეთვე დასვათ თქვენი კითხვები. კონსულტაციების გაწევა ხდება mbeon აპლიკაციის მეშვეობით სხვადასხვა ენაზე. mbeon-ში თქვენ იპოვით კონსულტანტებს, რომლებიც საუბრობენ თქვენს ენაზე და რომლებიც მზად არიან დაგეხმარონ.

- *www.mbeon.de*

27 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მიგრანტებს შეუძლიათ მიიღონ ონლაინ კონსულტაცია. საკუთარი კითხვები შეგიძლიათ დასვათ საერთო ჩატში ან პირად შეტყობინებაში. კითხვებს პასუხობენ ახალგაზრდული მიგრაციის სამსახურის (JMD) გამოცდილი თანამშრომლები.

- გერმანული ენა: *www.jmd4you.de*, ასევე
- ინგლისური ენა: *www.your-way-in-germany.org*
- რუსული ენა: *www.putjwgermaniju.org*
- თურქული ენა: *www.almanyayolu.org*
- არაბული ენა: *www.bousaletuk-fi-almanya.org*
- ალბანური ენა: *www.udherrefyesi-gjermani.org*

ჰკითხეთ ოჯახის წევრებს, მეგობრებს, კოლეგებს სამსახურში, თანაკლასელებს, მეზობლებს ან თქვენი სპორტული კლუბის წევრებს კონსულტაციის მიღების კონკრეტული შესაძლებლობების შესახებ.

იპოვეთ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია და ისარგებლეთ უფასო კონსულტაციებით!

სად შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მიღება საკონსულტაციო მომსახურების შესახებ?

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია კონკრეტული საკონსულტაციო შეთავაზებების შესახებ, მაგალითად, ჩვენი რეგიონის შემდეგ დაწესებულებებში:

- მუნიციპალური, საქალაქო ან რაიონული ადმინისტრაციები (Gemeinde-, Stadt- oder Kreisverwaltungen);
- ნებაყოფლობითი საქველმოქმედო ორგანიზაციების სათაო გაერთიანებები (მუშაკთა სოციალური დაცვის ორგანიზაცია (Arbeiterwohlfahrt), გერმანული გაერთიანება „კარიტასი“ (Deutscher Caritasverband), სოციალური დახმარების და განვითარების გერმანული ევანგელისტური ორგანიზაცია „დიაკონია“ (Diakonie Deutschland-Evangelisches Werk für Diakonie und Entwicklung), გერმანული წითელი ჯვარი (Deutsches Rotes Kreuz), თანასწორობისა და სოციალური დახმარების გერმანული გაერთიანება (Deutscher Paritätischer Wohlfahrtsverband), გერმანიაში ებრაელების სოციალური დახმარების ცენტრი (Zentralwohlfahrtsstelle der Juden in Deutschland));
- დევნილთა კავშირი (Bund der Vertriebenen);
- საერთაშორისო კავშირი (Internationaler Bund);
- ახალგაზრდობასთან სოციალური მუშაობის ორგანიზაციები (Träger der Jugendsozialarbeit);
- ინტეგრაციის კურსების ჩატარების ორგანიზაციები (Träger der Intergrationskurse).

უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში მისამართზე:

- *www.bamf.de/DE/Themen/Integration/ZugewanderteTeilnehmende/BeratungErwachsene/beratung-erwachsene-node.html*
- *www.mbeon.de* და
- *www.facebook.com/mbeon.chat*
- *www.jugendmigrationsdienste.de*

გამავალი მონაცემები

გამომცემელი:
Bundesamt für Migration und Flüchtlinge
90461 Nürnberg

ამ დროის მდგომარეობით:
10/2020

დაბეჭდილია:
Silber Druck oHG, Lohfelden

გაფორმება:
MediaCompany – Agentur für Kommunikatikon GmbH

გამოსახულებები:
istock/sturti, istock/lisegagne, istock/SDI Productions,
BAMF/Bildkraftwerk/Thomas Geiger

შეკვეთა:
Publikationsstelle des Bundesamtes für Migration und Flüchtlinge
www.bamf.de/publikationen

ასევე შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ამ პუბლიკაციის შშმ პირთათვის ადაპტირებული PDF დოკუმენტი, ვებ – გვერდიდან:
http://www.bamf.de/publikationen”

ამ პუბლიკაციას აქვეყნებს მიგრაციის და ლტოლვილთა საქმეების ფედერალური უწყება საზოგადოებასთან მუშაობის ფარგლებში. პუბლიკაცია გაიცემა უფასოდ და არ არის განკუთვნილი გასაყიდად.

ეწვიეთ ჩვენს გვერდს
www.facebook.com/bamf.socialmedia
@BAMF_Dialog
www.bamf.de

Other Language ?
www.bamf.de/publikationen